განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## სსიპ - კოლეჯი „მოდუსი“

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: **ფრიდონ გოგიაშვილი**

წევრები: **ირმა ღარიბაშვილი**

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: კოლეჯი „მოდუსი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 216350829

სახე:

- ☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- ☑ **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.რუსთავი 2019 წ)

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - კოლეჯი „მოდუსის" მიერ პროფესიული საგანმანათლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროგრამების დამატების მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა განაცხადი (26.09.2019 წ. ცენტრში რეგ.№1274565), ხოლო 2019 წლის 9 ოქტომბერს დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა განაცხადის გასწორებული ფორმა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წ. 11 ოქტომბრის №949 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ფრიდონ გოგიაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, თავმჯდომარე;
2. ირმა ღარიბაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, წევრი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებს დროულად მიეწოდა დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის პირველადი განხილვის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ იქნა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც შეთანხმებული იქნა ცენტრთან და დროულად მიეწოდა დაწესებულებას.

სსიპ - კოლეჯ „მოდუსში" ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 31 ოქტომბერს და 1 ნოემბერს ქ.რუსთავში, მისამართზე შარტავას გამზირი №4.

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შემოწმებას დაექვემდებარა განაცხადის მიხედვით წარმოდგენილი ხუთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „ელექტროობა", „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუირების მონტაჟი", „მსუბუქი ავტომობილების სავალი ნაწილის შეკეთება", „მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება", „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია".

2019 წლის 31 ოქტომბერს, ვიზიტის პირველ დღეს შედგა შეხვედრა სსიპ-კოლეჯ მოდუსის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებელ პირებთან. იმავე დღეს ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ გადამოწმდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით დაწესებულებაში არსებული ნორმატიული დოკუმენტაცია და მარეგულირებელი დოკუმენტები, მათ შორის პროგრამის ირგვლივ გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები, რომელიც ინახება დაწესებულებაში მატერიალური სახით.

იმის გამო, რომ ვიიტის განხორციელებისათვის საჭირო მასალები ექსპერტთა ჯგუფს გადაეცა ვიზიტის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, ჯგუფს საშუალება მიეცა ვიზიტის ძირითადი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

---------------------------

დრო დაეთმო პროგრამების განხორციელების ადგილზე არსებული გარემოებების და იმ საკითხების შესწავლას, რომელთა მიმართაც ექსპერტებს წინასწარი განხილვების დროს გაუჩნდათ გარკვეული კითხვები და მოსაზრებები. აღნიშნულ კითხვებზე ექსპერტებმა მოისმინეს ადმინისტრაციის წარმომადგენლების არგუმენტირებული განმარტებები.

პირველი სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა დღის განმავლობაში გაწეული სამუშაო და შეაჯერეს ის საკითხები, რომელიც აისახება საბოლოო დასკვნაში.

ვიზიტის მეორე დღე დაეთმო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გადამოწმებას. თითოეული პროგრამის განხორციელების სპეციფიკიდან გამომდინარე მოხდა პროგრამების პრაქტიკული ნაწილის განმახორციელებელი მატერიალური ბაზის შემოწმება და გასაუბრება განმახორციელებელ პერსონალთან. მოხდა პროგრამების მოდულებში მითითებულ ლიტერატურის შერჩევითი გადამოწმება საბიბლიოთეკო ფონდში. ასევე მოხდა გასაუბრება პროგრამების ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ პერსონალთან. ვიზიტის მეორე დღის ბოლოს შეჯამდა როგორც დღის განმავლობაში შსრულებული სამუშაო, ასევე შედგა დასკვნითი შეხვედრა კოლეჯ „მოდუსის" პასუხისმგებელ პირებთან, სადაც ექსპერტთა ჯგუფმა მათ გააცნო ის ძირითადი მიგნებები, რომელიც აისახება საბოლოო დასკვნაში.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დასრულდა 2019 წლის 01. ნოემბერს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

(ქ.რუსთავი 2019 წ)

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | მუხლი 6 | ✓ | ☐ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | მუხლი 6 / პუნქტი ა) | ✓ | ☐ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. | მუხლი 6 / პუნქტი ბ) | ✓ | ☐ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | მუხლი 6 / პუნქტი გ) | ✓ | ☐ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები. | მუხლი 6 / პუნქტი დ) | ✓ | ☐ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. | მუხლი 6 / პუნქტი ე) | ✓ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------

---------------

---------------

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. | მუხლი 6 / პუნქტი ვ) | ✓ | |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | მუხლი 7 | ✓ | |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | მუხლი 7 / პუნქტი ა) | ✓ | |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | მუხლი 7 / პუნქტი ა.ა) | ✓ | |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ) | ✓ | |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ✓ | |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ✓ | |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში; | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ✓ | |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ✓ | |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ✓ | |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა) | ✓ | |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ) | ✓ | |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ) | ✓ | |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ) | ✓ | |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | მუხლი 7 / პუნქტი ზ) | ✓ | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

---------------------------

(ქ.რუსთავი 2019 წ)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ✓ | ☐ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ✓ | ☐ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ✓ | ☐ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ✓ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ✓ | ☐ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ✓ | ☐ |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი/ები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქ.რუსთავი 2019 წ)*

**V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

**VI. რეკომენდაციების შეჯამება**

1. სასურველია, საგანმანათლებლო დაწესებულებასა და კომპანიებს შორის გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებში, გაიწეროს კომპანიაში პრაქტიკაზე მისაღები პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობრივი მაჩვენებელი.
2. სასურველია, პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, საგანმანათლებლო დაწესებულებამ დამატებით აიყვანოს პროფესიული მოდულების განმახორციელებელი დარგის სპეციალისტები.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციის" საერთო პროფესიულ მოდულში „კომპანიის მოთხოვნები და საინფორმაციო ბაზები", სასწავლო რესურსად მითითებულია მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა. სასურველია მოდულის განმახორციელებელმა პირმა ქართულ ენაზე მოამზადოს ჰენდაუტები ან დაამატონ ქართულენოვანი ლიტერატურა.
4. სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულებამ საჯარო რეესტრში დაარეგისტრიროს ახალი საკადასტრო აზომვისა და შიგა აზომვითი ნახაზების შესაბამისი ფართი.
5. სასურველია ბიბლიოთეკაში არსებობდეს პროგრამაში მითითებული ლიტერატურის ბეჭდური ვერსიის რამდენიმე ეგზემპლიარი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

(ქ.რუსთავი 2019 წ)

## VII. დაწესებულების მისია

სსიპ-კოლეჯი „მოდუსი" ქვემო ქართლის რეგიონში, ქ.რუსთავში, მოქმედი სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა. კოლეჯის მისიაა: რეგიონში არსებული საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების შემუშავება და დანერგვა. სამუშაოს მაძიებლებისა და კარიერის განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანების პროფესიონალებად ჩამოყალიბება დამსაქმებლების ინტერესების გათვალისწინებით. დაწესებულება პროფესიონალების მომზადება-გადამზადებას ანხორციელებს მოკლევადიანი და გრძელვადიანს პროგრამებით ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სტანდარტების შეფასება

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1** დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

სსიპ - კოლეჯმა „მოდუსი" პროფესიული საგანმანათლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი ხუთი პროგრამის დამატების მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა განაცხადი (26.09.2019 წ, ცენტრში რეგ.№1274565). ეს პროგრამებია:

- მსუბუქი ავტომობილების სავალი ნაწილის შეკეთება;
- მსუბუქი ავტომობილების ძრავის შეკეთება;
- ელექტროობა;
- სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია;
- თაბაშირმუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი.

პროგრამებში მოცემულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტების მინიჭების პირობები, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის ინფორმაცია. სასწავლო პროგრამებს დანართების სახით თან ერთვის: დანართი 1. სასწავლო გეგმა; დანართი 2. სასწავლო გარემოს

აღჭურვილობა; დანართი 3. სწავლების განმახორციელებელი პერსონალი (პროფესიული განათლების მასწავლებლები); დანართი 4. პროგრამის შემადგენელი მოდულები, მათ შორის ქართული ენის მოდული. დაწესებულებას შედგენილი აქვს პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობის დასაბუთება, ასევე წარმოდგენილი აქვს პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობისათვის შრომის ბაზრის მოთხოვნები და საჭიროებების კვლევა.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება".**

პროგრამა შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებების და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისის" საფუძველზე.

დამტკიცებულია სსიპ - კოლეჯი მოდუსის დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის №256 ბრძანებით.

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში/Basic Vocational Qualification in Vehicle Repair.

**სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი**-0716

**დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია** საბაზო განათლება.

**პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა** -30

პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს მოცულობით 16 კრედიტი, 6 სავალდებულო საერთო პროფესიულ მოდულს მოცულობით 17 კრედიტი, 4 პროფესიულ მოდულს მოცულობით 10 კრედიტი, კონცეტრაცია სავალი ნაწილის შეკეთების 5 მოდულს მოცულობით 15 კრედიტი.

ქართულენოვანი სტუდენტებისათვის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 58 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის ჯამური რაოდენობა არის 73 კრედიტი.

პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია. პროგრამების სასწავლო გეგმებში დაცული არის მოდულებში განსაზღვრული წინაპირობები. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით განსაზღვრულ პირობებს. სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

2. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** „მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება"

პროგრამა შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებების და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისის" საფუძველზე .

დამტკიცებულია სსიპ - კოლეჯი მოდუსის დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის №254 ბრძანებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------

----------------------------

----------------------------

*(ქ.რუსთავი 2019 წ)*

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში/Basic Vocational Qualification in Vehicle Repair.

**სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი**-0716

**დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია** - საბაზო განათლება.

**პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა** -30

პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს მოცულობით 16 კრედიტი, 6 სავალდებულო საერთო პროფესიულ მოდულს მოცულობით 17 კრედიტი, 4 პროფესიულ მოდულს მოცულობით 10 კრედიტი, კონცეტრაცია ძრავის შეკეთების 5 მოდულს მოცულობით 14 კრედიტი.

ქართულენოვანი სტუდენტებისათვის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 43 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის ჯამური რაოდენობა არის 72 კრედიტი.

პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია. პროგრამების სასწავლო გეგმებში დაცული არის მოდულებში განსაზღვრული წინაპირობები. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით განსაზღვრულ პირობებს. სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

პროგრამის ფარგლებში კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციებია:

- „რუსთავი ლადა",
- „უნი მოტორსი",
- „ხოფერია და კომპანია"

ვიზიტის განხორციელების პროცესში, შერჩევის პრინციპით ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა კოლეჯის პარტნიორი ერთ-ერთი კომპანია „უნი მოტორსი". კომპანიების შერჩევის პროცესში გადაწყვეტილების მიღების დროს ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული კომპანია შეარჩია იმ მიზნით, რომ აქ მოხდება პროგრამით გათვალისწინებული გარკვეული სწავლის შედეგებისდადასტურება. აღნიშნულ კომპანიასთან კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი 5 წლის ვადით (12.12.2018 წ. დანართი1) გამომდინარე იქედან, რომ პროგრამების, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება და მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება" , გარკვეული მოდულების სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით პროფესიული სტუდენტებისათვის გათვალისწინებულია დანადგარების/აპარატების გამოყენება, მემორანდუმს თან ახლავს შეთანხმება (დანართი2), რომელიც წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს: კერძოდ მოდულებისათვის: „ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის სერვისი, საჭის მექანიზმის ელექტრონული მართვის სისტემების სერვისი, „ძრავის შეზეთვა-გაგრილების სერვისი", ძრავის მექანიზმების სერვისი, გამოყენებული იქნება სამუხრუჭე სითხის შეცვლის/დაჰაერების აპარატი, თვლების შეყრის კორექტირების აპარატი, სპეციალური დანიშნულების პროფესიული ხელსაწყო იარაღები.

აღნიშნული ობიექტის დათვალიერებისას ჯგუფმა შეამოწმა სამუშაო გარემო სადაც მოუწევთ ყოფნა პროფესიულ სტუდენტებს. მოწყობილობები მუშა მდგომარეობაშია. დაცული არის შრომის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

------------------

(ქ.რუსთავი 2019 წ)

უსაფრთხოების ნორმები. სასწავლო პროცესის წარმართვისათვის გათვალისწინებულია პროფესიული მასწავლებლის და კომპანიის წამომადგენლის ჩართვა სასწავლო პროცესში. გასაუბრების შემდეგ აღმოჩნდა, რომ კომპანიის წარმომადგენელი კარგად იცნობს და არსებული მოწყობილობების გამოყენებით პროფესიულ სტუდენტს ექნება საშუალება სრულად მიაღწიოს გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

3. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -„ელექტროობა".**

პროგრამა შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ელექტროობის" საფუძველზე.

დამტკიცებულია სსიპ-კოლეჯი „მოდუსის" დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბერის №263 ბრძანებით (დირექტორის 2019 წლის 7 მარტის №52 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ).

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში/ Basic Vocational Qualification in Eleqtricity.

**სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი:** 0713.

**დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია** - საბაზო განათლება.

**პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა-30.**

პროგრამა მოიცავს 4 ზოგად მოდულს მოცულობით 10 კრედიტი, 6 სავალდებულო პროფესიულ მოდულს მოცულობით - 28 კრედიტი, 4 საერთო პროფესიულ მოდულს მოცულობით - 14 კრედიტი.

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს **52 კრედიტი** (33 სასწავლო კვირა). არაქართულენივანი სტუდენტებისთვის - **67 კრედიტი.** პროგრამის მოდულების 3.3. პუნქტში, სასწავლო რესურსების ჩამონათვალში მოდულის განმახორციელებელი მასწავლებლების მიერ გატარებულია ცვლილება, კერძოდ: მოდულებში გაწერილი ინგლისურენოვანი ლიტერატურა ჩანაცვლებულია ქართულენოვანი ლიტერატურით.

პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია. პროგრამების სასწავლო გეგმებში დაცული არის მოდულებში განსაზღვრული წინაპირობები. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით განსაზღვრულ პირობებს. სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არის 38-40 საათი.

პროგრამის ფარგლებში კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციებია:

- შპს „ვაგონმსენებელი კომპანია";
- შპს „404";
- სს „ენერგო პრო ჯორჯია";
- შპს „რუსელოისი";



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქ.რუსთავი 2019 წ)

- შპს „ჯი ბი ჯი";
- ა(ა)იპ რუსთავის ბაგა-ბაღების გაერთიანება.

4. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია.** პროგრამა შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - „წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების" საფუძველზე.

დამტკიცებულია სსიპ-კოლეჯი „მოდუსის" დირექტორის 2016 წლის 26 სექტემბერის №255 ბრძანებით.

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში/ Basic Vocational Qualification in Plumbing

**სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი:** 0732.

**დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია** - საბაზო განათლება.

**პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა**-30.

პროგრამა მოიცავს 16 კრედიტის მოცულობის 6 ზოგად მოდულს, 13 სავალდებულო პროფესიულ მოდულს მოცულობით - 57 კრედიტი და 6 კრედიტის მოცულობის 2 პროფესიულ მოდულს.

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს **79 კრედიტი**, სავარაუდო ხანგრძლივობით 18 თვე (60 სასწავლო კვირა). არაქართულენივანი სტუდენტებისთვის - **94 კრედიტი.** პროგრამის მოდულების 3.3. პუნქტში, სასწავლო რესურსების ჩამონათვალში მოდულის განმახორციელებელი მასწავლებლების მიერ გატარებულია ცვლილება, კერძოდ: მოდულებში გაწერილი ინგლისურენოვანი ლიტერატურა ჩანაცვლებულია ქართულენოვანი ლიტერატურით.

პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია. პროგრამების სასწავლო გეგმებში დაცული არის მოდულებში განსაზღვრული წინაპირობები. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით განსაზღვრულ პირობებს. სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

პროგრამის ფარგლებში კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციებია:

- შპს „404";
- შპს „ჯი ბი ჯი";
- ა(ა)იპ რუსთავის ბაგა-ბაღების გაერთიანება;
- შპს „ქალაქის სანტექნიკი";
- შპს „რუსთავის წყალი".



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

------------------

(ქ.რუსთავი 2019 წ)

**ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა კომპანიაში - „რუსთავის წყალი“.** საგანმანათლებლო დაწესებულებას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული აღნიშნულ კომპანიასთან, სადაც გაწერილია მემორანდუმის საგანი, მხარეთა უფლება-მოვალეობები, მემორანდუმის ცვლილებისა და დამატების შესახებ. **მემორანდუმში არ არის მოცემული ინფორმაცია, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღება შეუძლია კომპანიას.** ინტერვიურებისას კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ერთჯერადად შეძლებენ **15 სტუდენტის** მიღებას, ვინაიდან რამოდენიმე ობიექტზე ახორციელენენ სამუშაო პროცესებს და საჭიროების შემთხვევაში მოახდენენ პროფესიულ სტუდენტთა გადანაწილებას. სტუდენტთა თვითოეულ ჯგუფს ზედამხედველობას გაუწევს ბრიგადის ხელმძღვანელი (ინჟინერი). მისი განმარტებით დიდი ყურადღება ექცევა პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვას. ყოველდღიურად, სამუშაოს დაწყების წინ, თვითოეულ პროფესიულ სტუდენტს ჩაუტარდება ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების საკითხებზე, რასაც დაადასტურებენ ხელმოწერით სპეციალურ ჟურნალში. საწარმოო პრაქტიკაზე სტუდენტები აწარმოებენ დღიურს, სადაც დღის ბოლოს გააკეთებენ ჩანაწერს. აღნიშნულ დღიურს შეამოწმებს ინსტრუქტორი და ხელმოწერით დაადასტურებს სტუდენტის მიერ გაწერილ ინფორმაციას. პროფესიული სტუდენტის შეფასებას განახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც ამავდროულად არის აღნიშნული კომპანიის თანამშრომელი. სტუდენტთა აღჭურვას ინდივიდუალური დამცავი საშუალებებით ახდენს საგანმანათლებლო დაწესებულება.

5. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - თაბაშირმუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი.**

პროგრამა შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - „მშენებლობის წარმოების“ საფუძველზე.

დამტკიცებულია სსიპ-კოლეჯი „მოდუსის“ დირექტორის 2016 წლის 26 სექტემბერის №261 ბრძანებით. (დირექტორის 2019 წლის 7 მარტის №50 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ).

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში/ Basic Vocational Qualification in Wall Covering Works.

**სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი:** 0732.

**დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია** - საბაზო განათლება.

**პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა**-30.

პროგრამა მოიცავს 18 კრედიტის მოცულობის 7 ზოგად მოდულს, 13 სავალდებულო პროფესიულ მოდულს მოცულობით - 35 კრედიტი და 5 კრედიტის მოცულობის 3 დარგობრივ მოდულს.

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს **58 კრედიტი** (42 სასწავლო კვირა). არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - **73 კრედიტი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

----------------

----------------

პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია. პროგრამების სასწავლო გეგმებში დაცული არის მოდულებში განსაზღვრული წინაპირობები. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით განსაზღვრულ პირობებს. სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

კოლეჯს პროგრამის ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციებია:

- შპს „404";
- შპს „ჯი ბი ჯი";
- ა(ა)იპ რუსთავის ბაგა-ბაღების გაერთიანება;

ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიურება განახორციელა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. მასწავლებლებს აქვს მოდულური პროგრამებზე სწავლების გამოცდილება. მათ სხვადასხვა საკითხებზე ტრენინგები ჩაუტარდათ სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. მასწავლებლებმა სურვილი გამოთქვეს დამატებითი ტრენინგების საჭიროების შესახებ (შეფასება, დარგობრივი).

ექსპერტებმა ინტერვიურება განახორციელეს ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან. ამ ეტაპზე კოლეჯს ყავს 6 ინკლუზიური პროფესიული სტუდენტი სხვადასხვა პროგრამებზე, მათ შორის სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციისა და თაბაშირმუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის პროგრამაზე. ინკლუზიური განათლების სპეციალისტი სწავლების პროცესში აკვირდება ინკლუზიურ სტუდენტს და დაკვირვების შედეგად პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის საჭიროებას. ახდენენ მშობლებთან შეხვედრას და მათთვის საინტერესო და საჭირო საკითხების გაცნობას. თვითოეული ინკლუზიური სტუდენტისთვის შექმნილია პორტფოლიო, სადაც განთავსებულია მტკიცებულებები სხვა დოკუმენტაციასთან ერთად.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

*კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმებით;
- ინტერვიურებით ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------
------------------
------------------

*(ქ.რუსთავი 2019 წ)*

შეფასება:
- გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☑ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.2** დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

კატალოგში განთავსებულია ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, შეფასების წესის შესახებ. კოლეჯის პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კატალოგის განახლება ხდება რეგულარულად. ვიზიტის პერიოდში კატალოგის გადამოწმების დროს აღმოჩნდა, რომ ის იყო განახლებული და მასში განთავსებული იყო ინფორმაცია კოლეჯში უკვე არსებული პროფესიული პროგრამების შესახებ. კერძოდ ეს პროგრამებია:

- სამკერვალო წარმოება;
- ელექტროობა;
- ინფორმაციის ტექნოლოგია;
- თაბაშირ-მუყაოს კონსტრუირების მემონტაჟე;
- ზეინკალ-სანტექნიკოსი;
- კონსულტანტ-გამყიდველი;

აქვე განთავსებულია პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, კოლეჯის მდებარეობა, კოორდინატები და საკონტაქტო ინფორმაცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------
---------------
---------------

(ქ.რუსთავი 2019 წ)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
- კოლეჯის ვებ-გვერდი http://www.modusi.ge/ ;

შეფასება:

☑ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.3** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

განსახილველი პროფესიული პროგრამების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტში მითითებულ შედეგებთან. თითოეულ პროგრამაში სრულყოფილად არის ჩამოყალიბებული ცოდნა და უნარები, რომელიც ექნება სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
- საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

შეფასება:

☑ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.4** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.
**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

სსიპ - კოლეჯ „მოდუსის"დირექტორის ბრძანება N82 -ით (05.04.2019წ) დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი", რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის მობილობის, ფორმალური და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცედურა.

ამავე წესში გაწერილია არასრულწლოვანი და უცხოეთში ან/და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების მქონე პირთა და შშმ/სსსმ პირთა ჩარიცხვის რეგულაციები.

საგანმანათლებლო დაწესებულება აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს ვადების დაცვით. დაცული არის პროცედურები პროფესიული სტუდენტის სწავლის დაწყებიდან კვალიფიკაციის მინიჭებამდე. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია დაწესებულების ავტორიზაციის პროცესში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებდა პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერის შეცვლის თაობაზე და კოლეჯში არსებული რეგულაციის შესაბამისად სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე დატანილი არის კოლეჯის იურისტის გვარი. ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ დაწესებულება იცავს თავის რეგულაციებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

------------------

(ქ.რუსთავი 2019 წ)

